INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: **"LAW AND WORLD"**
April 2021 (№17). Volume 7; Issue 2; Page No. 56-68
https://doi.org/10.36475/7.2.5
www.lawandworld.ge
ISSN: 2346-7916 (Print); ISSN: 2587-5043 (Online)
https://creativecommons.org/about/cclicenses/ (Licensed under: CC BY-SA)

MYTHS OF ELDER WOMEN AND WORLD'S STEREOTYPES

Making Injustice Visible & Woman – master of her own fate

Irina Batiashvili

Lecturer of Constitutional Law and Human Rights at Georgian Technical University,
Adviser of Head of Legal Department, LLC „Tbilisi Energy",
Member of Mediation and Arbitration Committee (Georgian bar Association)

ABSTRACT

Government should start thinking about Gender-responsive Works Programs. In order not to turn gender responses into lawmakers-illusionists' one big bluff and a cascade of tricks, it is necessary for the country to have a gender-aware economists to support the forming, implementation and monitoring of gender responsive economic policies.

Lack of work in formal sector is the first motivator for women to go in informal sector and find job with poor wage and without the necessary conditions for health security.

As we see the role of women in society by aging is minimized to caregivers.Society sees the little girls, adolescent girls and women as reproductive line - contributors of life and not as individuals who are mothers, workers, educators, mentors, managers, politicians and active participants of society.

What is aging? How elder women can find new opportunities and how than can use new opportunities in creative ways if society is stereotyping them as burden to family, as caregivers and as not valuable asset to country?

What are these aspects on which should be built new system for elder women to raise their potential contribution?

Idealistic people create a real society based on the concept of love and peace.

KEYWORDS: Women's Economic Empowerment, Informal Work Sector, The Fate of Elder Women

"Positive philosophy begins not with thinking about something, but with free action. Its origin is the act of will – I will, I want, I act…Yes, it is based on experience as on an occasion. But this is a completely different experience than the usual sensual experience thus nourished by empirical philosophy and the empirical sciences. It is an existential experience, as a result of the supreme divine and at the same time of my free will and action…Philosophy, unlike other sciences, seeks and determines its own subject. The latter is not given to him in a ready form…Philosophical thinking must determine it for itself."[1]

From this philosophical paradigm, we can see the superiority of the act of will… the main thing is the will and action… the genuine desire of the state to achieve the full integration of women in society and the realization of their potential. We know the supreme value as

1 Book: Schelling's Philosophy of Revelation"; Author – Irakli Batiashvili (p. 11) 2019.

a primary value – equality, but the state must be able to establish, determine and embody this value.

The brief content of the UN Women policy sets out easily the key messages to create dignified living conditions for women:

"KEY MESSAGES

1. Women contribute substantially to economic and social development, but are discriminated against in the world of work;

2. Invest in gender equality and women's economic empowerment, more jobs and decent work for women because it is the right thing to do and it promotes sustainable growth and development;

3. Implement development strategies, policies and programs that generate more jobs and ensure decent work for women, particularly in the informal sector;

4. Promote women's leadership in public and corporate economic decision-making and in employer's and worker's organizations;

5. Promote a culture of equality and shared responsibility between men and women in paid and unpaid care work".[2]

Countries which regulate women's health and education tasks better, must focus on women's economic and political tasks. In my opinion these two is strongly related to each other. Education's benefit for women is to become a good workforce and workforce's benefit is having good wage and this wage should be equal wage as men have. This all needs to be integrated in the political long-term program of a country.

After pandemic or crisis situation women need to be fully engaged in finding responses to new challenges, planning recovery strategies. It means that women and men should have equal voices and opportunities at all levels of economic decision-making.

"Empowering women economically and making them central to solutions is a moral imperative. But it also makes good economic sense. A growing body of research shows that enhancing women's economic participation improves national economies, increases household productivity and living standards, enhances the wellbeing of children with positive long-term impacts".[3]

Government should start thinking about Gender-responsive Works Programs. In order not to turn gender responses into lawmakers-illusionists' one big bluff and a cascade of tricks, it is necessary for the country to have gender-aware economists to support the forming, implementation and monitoring of gender responsive economic policies.

First step is to negotiate with businesses to collaborate and be involved in gender-responsive work programs. The aim of the government should be to raise women's ratio in the workforce by setting equal wages for men and women, allowing childcare facilities to be provided on worksites and requiring provision of work close to homes. Women should also be involved in monitoring and managing their health improvement scheme. When childcare would be no boundary the level of participation of women in a labor market will rise higher.

Government should give power to the labor inspection office to monitor decent work conditions of self-employed women in informal works. For example: household working, childcare, aged people care and other informal activities. This field is very sensitive and when women's economic and social situation depends on work, they sometimes close eyes on working conditions or they do not ask question to themselves: Is it a decent working condition in 21st Century?

Reality is that women dominate the unprotected informal sector.

"Many women do get paid for domestic work—cleaning homes, babysitting, and doing other tasks for wealthier families. But even this work (in what is known as the „informal sector") falls outside of official statistics because it is often „under the table". The vast majority of these paid domestics are women lacking benefits or security in their jobs. This kind of work can provide women with some income, but such unregulated jobs are usually low paying and can trap women in situations that provide neither benefits nor means of advancement".[4]

Georgia faces this sensitive and difficult situation. Informal Works are not regulated at all. In reality there is more harm for women in this field than benefits. The lack of work in formal sector is the first motivator for women to go in informal sector and find job with poor wages and without the necessary conditions for health security.

"The lack of official recognition of the informal sector has two main effects: on a local level, it exempts such jobs from health and labor standards, which laboring in a globalized world may result in unsafe conditions. And on a global level, like the invisibility of domestic work, it contributes to the continued marginalization of women in the global economy, through international policies that disad-

2 UN Women Policy Brief „Decent Work and Women's Economic Empowerment: Good Policy and Practice" 2012.

3 UN Women Policy Brief (Decent Work and Women's Economic Empowerment: God Policy and Practice; Published 2012).

4 Book: „Outrage to Courage" Author – Anne Firth Murray (new and revised second edition).

vantage or overlook such work and therefore the women who perform it".[5]

When the world is emphasizing on human beings' dignity, we should realize that this value is like a living creature and depends on living conditions of a human being.

„The right to work is often a crucial enabling factor for dignity, personal development and social and economic inclusion". – Committee on Economic, Social and Cultural Rights, general comment No. 18.

As Georgia faces large number of informal jobs, the first step is that we need to make statistics to know exact number of informal workers, in parallel this process should monitor working conditions of these workers. Afterwards, the government should think about the legal framework which will regulate informal sector working conditions. This act should be mandatory for country's population and should have normative power. In my view, this document should be a guide to the working conditions in informal sector (working hours, decent working conditions, decent working wages, working strength for ageing people, workers rest and leisure time and other general aspects).

But if we want to eliminate discrimination in informal or formal works, we should find its roots. In article 24 Universal declaration of human rights women have the right to rest and leisure and they should have conditions to enjoy these rights. Obviously, women couldn't enjoy this right equally with men if they will have a disproportionate share of (unpaid) work at home. If we look closer stereotypical assumptions and perceptions about, family and caring responsibilities, exactly these stereotypes are the root of the discrimination and limitations of women involvement in the labor market. The limitation types as we see globally is different:

- barriers to entering employment and work;
- lower wages of formal work and higher levels of informal and insecure work;
- fewer opportunities for advancement.[6]

International labor standards also address equal opportunities and equal treatment for men and women workers with family responsibilities. – ILO Convention No. 156 and corresponding ILO Recommendation No. 165.

As is mentioned in Article 10 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women States must take all appropriate measures to ensure that women can enjoy the same access to the same quality of education and training and the same opportunities in that sphere as men.

Unpaid care work can be arduous, stressful, emotionally difficult and even dangerous for example: household work and childcare. If left women unsupported with heavy unpaid care responsibilities the mental and physical health of women may deteriorate and degrade dangerously.

States must work towards tackling and softly transforming traditional gender norms and stereotypes. The goal of this tackling should be: an equal distribution of unpaid care work at home and sharing responsibilities by men and women equally.

"Increasing women's participation in the formal or informal labor system was not seen as detrimental to women's unpaid work, since such unpaid work was never recognized or measured".[7]

The fact is that working in the informal or formal sector has a direct proportional effect on the deteriorating working conditions of women's unpaid work (housework) and the creation of a stressful environment if unpaid work is not fairly shared between men and women.

We see how many problems young women face ... and we fearfully think about what happens with ageing?

What is aging? A new stage of development, a new challenge for women, a new phase of life. How can elder women find new opportunities and how than can they use new opportunities in creative ways if society is stereotyping them as a burden to family, as caregivers and as not valuable asset for a country?

1. Society and a country itself should change this concept, distorted perception, prejudices and realize that elder women are productive members of society and they must be treated with dignity and give them resources to fully exercise their rights.

"Examination of myths and stereotypes that surround older woman shows how gender bias and discrimination intensify in old age everywhere, though the cultural forms may differ. Perhaps the most widespread stereotype is that of women as natural caregivers, a notion that continues to sustain the belief in many countries especially, in resource – poor countries, that the „traditional family" will take care of its elderly. As several papers in this volume point out, the view of women as „natural" family caregivers is one that is continually constructed and constantly reinforced by social expectations and strictures. One study, in Italy, examines the ways in which these

5 Book: „Outrage to Courage"; Author – Anne Firth Murray (chapter: laboring in a globalized world pg. 196).

6 ILO and UNDP, Work and Family.

7 Book: „Outrage to Courage"; Author – Anne Firth Murray (chapter: laboring in a globalized world pg. 197).

expectations permeate even casual conversations: women typically apologize if they are not caring for an additional family member, while men, far from being expected to care for family members, are regarded as peculiar when they do".[8]

As we see the role of women in society by aging is minimized to caregivers. Why? Maybe the reason is in the roots. Society sees the little girls, adolescent girls and women as reproductive line – contributors of life and not as individuals who are mothers, workers, educators, mentors, managers, politicians and active participants of society. Stigmas sometimes give much harsh and devastating results than we can imagine. When society gives one main role to women like reproductive potential, after some period they are seen useless, not because society is so terrible and inhuman, but because this prejudice is formed on the basis of the collective unconscious. After this type of formation society gives women an extra role (as extra benefit): caregivers. When we want to start return elders their real and own place in society, we should first change perceptions and attitudes of our collective unconscious.

"Even in wealthy countries, older women's productive contributions are seldom formally recognized. Many perceptions of older women as unproductive stem from the belief that women's productive role is limited to their reproductive capacity. Women's value is believed to lie in their ability to bear children, and particularly sons. Once women pass the age of reproductive potential, they are seen as useless. It is assumed that they will no longer contribute to society and will instead become burdens, dependent upon support from their children and possibly their national government".[9]

2. Economic situation of a country and finances should be aimed at the well-being of the elderly and their integration into society. The main issue in this topic is the stage of the country's economic development: does the country have a poor economy or a stable well-built economy? Afterwards it is crucial for a country to implement financial methods and system which raises the role of women in gaining money and making them as an active workforce.

As is mentioned in INSTRAW publication *„Ageing in Gendered World: Women's Issues and Identities": „Ageing, as a stage of development, is a challenge for women. In this period of life, women should be enabled to cope in a creative way with new opportunities. The social consequences arising from the stereotyping of elderly women should be recognized and eliminated. Subsequent meetings on ageing began to emphasize the integration of older persons into the life of society, regarding them not as a burden on productive members of society but as creative and productive members in their own right. Women, who because they live longer, represent the majority of older people in almost every country, are a particularly neglected resource in their elder years".*

What are these aspects on which the new system for elder women should be built to raise their potential contribution?

INSTRAW is addressing concepts that have led to the injustice and afterwards is searching for potential contributions that every woman can make to its society. Also it is worthy to discuss the role of modern technology in the improvement of women's economic condition. In my opinion fee-free programs for learning computers and new technologies can organize government in rural communities for women. Country, government together with private business sector have power to increase recognition of importance of women and to give women the feel that they are masters of their own fate. One way to give women control over their fate is giving them a chance for economic activities. This includes the microfinancing loans for women. The reasons for special loan type can be: cottage industries, farming, cooking, agricultural work. Government should appreciate works which will not harm elder women, transform their role in society, decrease discrimination and finally eliminate it. At first sight reader may think: can this small investment be substantial for changing status of women? My answer is Yes… Yes…everything starts from Will.

The severe reality is that social exclusion, poverty, discriminatory attitudes, prejudices and perceptions regarding the role of women are generally more acute for older women than they are for older men. It's obvious, this women's disadvantaged status takes roots from childhood and adulthood and day by day intensified in older age.

At first glance longer life expectancy is no doubt a sign of progress, which is the result of increasing wealth and access to medical care all over the world according to relevant percentage. When you look this picture from one point it is tempting to think that the problem of women in poverty is gradually and moderately ebbing, but unfortunately this is a false impression. When you come closer and closer to this mosaic

8 United Nations International Research and Training Institute for the Advancement of Women (INSTRAW) „Ageing in Gendered World: Women's Issues and Identities" (Santo Domingo, Dominican Republic 1999).

9 Book „From Outrage to Courage" Chapter: „Aging in Men's world"; Author – Anne Firth Murray (new and revised second edition).

you see a lot of problems regarding elder women and growing number of them without growth of economy and without changing the world's perception. Stereotypes bring devastating effect on elder women and for world as well.

Georgia has one good challenge that elder women are employed in education system, as Scientifics as Teachers, as Lecturers. But these are small percentages.

We need to translate laws, normative acts, state's goals in community. We also must focus on this issue. We need to make changes without disempowerment of men and real equality with women and men. Men will be as gentlemen in society with new vision and respectful values. These are new challenges not only for Georgia, but for the whole world.

I think these issues need to be deepened, expanded and will be present alternatives to goal setting / implementation around this core. So I decided to expand the vision in my dissertation.

NOTES:

1. Irakli Batiashvili (2019) Schelling's Philosophy of Revelation. p. 11. (In Georgian)
2. UN Women Policy Brief "Decent Work and Women's Economic Empowerment: Good Policy and Practice" (2012). (In English)
3. Anne Firth Murray - Outrage to Courage (2nd Ed.). (In English)
4. Anne Firth Murray - Outrage to Courage (chapter: laboring in a globalized world.) p. 196 (In English)
5. Committee on Economic, Social and Cultural Rights, general comment No. 18
6. ILO and UNDP, Work and Family. (In English)
7. Anne Firth Murray - Outrage to Courage (chapter: laboring in a globalized world.). p. 197 (In English)
8. United Nations International Research and Training Institute for the Advancement of Women (INSTRAW) "Ageing in Gendered World: Women's Issues and Identities" (Santo Domingo, Dominican Republic 1999). (In English)
9. Anne Firth Murray - From Outrage to Courage (Chapter: "Aging in Men's world"). (2nd Ed.). (In English)

მითები ასაკოვან ქალებზე და მსოფლიოს სტერეოტიპები
უსამართლობის მხილება და ქალი – საკუთარი ბედის შემქმნელი

ირინა ბათიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ლექტორი საკონსტიტუციო სამართალში და ძირითად უფლებებში, შპს „თბილისი-ენერჯის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის კომიტეტის წევრი

საკვანძო სიტყვები: ქალების ეკონომიკური გაძლიერება, არაფორმალური სამუშაო სექტორი, ასაკოვანი ქალების ბედი

„პოზიტიური ფილოსოფია იწყება არა აზროვნებით რაღაცის შესახებ, არამედ თავისუფალი ქმედებით. მისი ამოსავალი ნებელობითი აქტია – მე მნებავს, მე მინდა, მე ვქმედებ... დიახ, ის ეფუძნება გამოცდილებას, როგორც ხდომილებას. მაგრამ ეს სულ სხვა გამოცდილებაა, ვიდრე ჩვეული გრძნობადი გამოცდილება, რითაც საზრდოობს ემპირიული ფილოსოფია და ემპირიული მეცნიერებები. ეს ეგზისტენციალური გამოცდილებაა, როგორც უზენაესი ღვთაებრივი და იმავდროულად, ჩემი თავისუფალი ნების და ქმედების რეზულტატი... ფილოსოფია, განსხვავებით სხვა მეცნიერებებისგან, თავად ეძებს და ადგენს თავის საგანს. ეს უკანასკნელი მას არ ეძლევა მზა სახით... ფილოსოფიურმა აზროვნებამ თავად უნდა დაადგინოს იგი“.[1]

ამ ფილოსოფიური პარადიგმიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავინახოთ ნებელობითი აქტის უპირატესობა... მთავარია ნება და ქმედება... სახელმწიფოს ჭეშმარიტი სურვილი, რომ განახორციელოს ქალების სრულფასოვანი ინტეგრაცია სოციუმში და მათი შესაძლებლობის რეალიზაცია. ის უზენაესი ღირებულებაა, როგორც პრიმარული მოცემულობა – თანასწორობა, ვიცით... მაგრამ სახელმწიფომ უნდა შეძლოს ამ ღირებულების დამკვიდრება, დადგენა და ხორცშესხმა.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პოლიტიკის მოკლე შინაარსში მარტივად ჩამოყალიბებულია მთავარი მესიჯები ქალებისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად:

„ძირითადი შეტყობინებები:

1. ქალები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, მაგრამ ისინი დისკრიმინაციას განიცდიან სამუშაო სამყაროში

2. ჩადეთ ინვესტიცია გენდერულ თანასწორობაში და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში, მეტი სამუშაო ადგილების და ქალთა ღირსეული სამუშაოს შექმნა სწორი საქმეა და ხელს უწყობს მდგრად ზრდას და განვითარებას

3. განახორციელეთ განვითარების სტრატეგიები, პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც მეტ სამუშაო ადგილს ქმნის და განსაკუთრებით უზრუნველყოფს ქალთა ღირსეულ მუშაობას არაფორმალურ სექტორში

4. ხელი შეუწყვეთ ქალთა ლიდერობას საზოგადოებრივი და კორპორაციულ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, დამსაქმებელთა და მშრომელთა ორგანიზაციებში

5. განავითარეთ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის კულტურა და ასევე, ხელი შეუწყვეთ ქალთა და მამაკაცთა შორის პასუხისმგებლობის გაზიარებას ანაზღაურებად თუ ანაზღაურების გარეშე ზრუნვით საქმიანობაზე.“[2]

ქვეყნებმა, რომლებიც უკეთესად არეგულირებენ ქალების ჯანმრთელობისა და განათლების ამოცანებს, ყურადღება უნდა მიაქციონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს. ჩემი აზრით, ეს ორი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ქალებისთვის განათლებიდან მიღებული სარგებელია, რომ გახდნენ კარგი სამუშაო ძალა, ხოლო მუშახელის სარგებელი არის კარგი ხელფასი და ამავდროულად ეს ხელფასი მამაკაცების ხელფასის თანაბარი უნდა იყოს. ეს ყველაფერი კი ქვეყნის პოლიტიკურ გრძელვა-

1 ირაკლი ბათიაშვილის წიგნი: „შელინგის გამოცხადების ფილოსოფია“ (მე-11 გვერდი) 2019 წელი.

2 UN Women Policy Brief “Decent Work and Women’s Economic Empowerment: Good Policy and Practice” 2012 year.

დიან პროგრამაში უნდა იყოს ინტეგრირებული.

პანდემიური ან კრიზისული სიტუაციის შემდეგ, ქალები სრულად უნდა იყვნენ ჩართულნი ახალ გამოწვევებზე პასუხის ძიების პროცესში და მდგომარეობის აღდგენის სტრატეგიის დაგეგმვაში. ეს ნიშნავს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი ხმა და შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

„ქალების ეკონომიკურად გაძლიერება და მათი გადაწყვეტილების ცენტრში მოქცევა არის მორალური აუცილებლობა. ამას კარგი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. კვლევის მზარდი ნაწილი აჩვენებს, რომ ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის გაზრდა აუმჯობესებს ეროვნულ ეკონომიკას, ზრდის შინამეურნეობების პროდუქტიულობასა და ცხოვრების დონეს, ზრდის ბავშვების კეთილდღეობას პოზიტიური გრძელვადიანი ზემოქმედებით".[3]

გენდერზე საპასუხო სამუშაო პროგრამების შექმნის შესახებ მთავრობამ ფიქრი უნდა დაიწყოს იმისათვის, რომ გენდერულ საკითხებზე რეაგირება არ გადაიქცეს კანონშემოქმედი ილუზიონისტების ერთ დიდ ბლეფად და ფოკუსების კასკადად. აუცილებელია, სახელმწიფოს გენდერულ საკითხებში გათვითცნობიერებული ეკონომისტები ჰყავდეს, რომლებიც ხელს შეუწყობენ გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებას და მონიტორინგს.

პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მოლაპარაკება ბიზნეს სექტორთან, რომ თანამშრომლობა შედგეს და ბიზნესი გენდერული თანასწორობით დარეგულირებულ სამუშაო პროგრამებში ჩაერთოს. მთავრობის მიზანი უნდა იყოს ქვეყნის მასშტაბით სამუშაო ძალაში ქალთა თანაფარდობის ამაღლება მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ხელფასის დაწესებით, ასევე სამუშაო ადგილებზე ბავშვების მოვლისთვის განკუთვნილი სივრცეებისა და საცხოვრებელი ადგილების მახლობლად სამუშაოების უზრუნველყოფის გზით. ქალები ასევე უნდა იყვნენ ჩართულნი მათი მდგომარეობის გაუმჯობესების სქემის მონიტორინგში და მართვაში. როდესაც ბავშვზე ზრუნვა აღარ იქნება წინაღობა, შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის დონე გაიზრდება.

მთავრობამ უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება შრომის ინსპექციის სამსახურს, რათა დააკვირდეს არაფორმალურ სამუშაოებში თვითდასაქმებული ქალების ღირსეულ სამუშაო პირობებს. მაგალითად: საყოფაცხოვრებო სამუშაო, ბავშვზე ზრუნვა, ასაკოვანი ადამიანის მოვლა და სხვა არაფორმალური საქმიანობა. ეს სფერო საკმაოდ მგრძნობიარეა. როდესაც ქალების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა სამუშაოზეა დამოკიდებული, ისინი ხანდახან ხუჭავენ თვალს სამუშაო პირობებზე ან საკუთარ თავს არ უსვამენ კითხვას: არის კი ეს ღირსეული სამუშაო პირობები 21-ე საუკუნეში?

სინამდვილე ისაა, რომ დაუცველ არაფორმალურ სამუშაო სექტორში ქალები დომინირებენ.

„ბევრი ქალი იღებს ანაზღაურებას საშინაო სამუშაოსთვის – სახლის დასუფთავებისთვის, ბავშვის მოვლისთვის და უფრო შეძლებული ოჯახებისთვის სხვა დავალებების შესრულების შედეგად, მაგრამ ეს საქმიანობაც (როგორც მას არაფორმალურ სექტორს უწოდებენ) ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩება, რადგან უმეტესად ის „მაგიდის ქვეშ" არის. საშინაო სამუშაოების შემსრულებელი აბსოლუტური უმრავლესობა არიან ქალები, რომლებთაც არ აქვთ შეღავათები ან უსაფრთხოება თავიანთ სამსახურში. ამგვარმა სამუშაომ შეიძლება ქალები გარკვეული შემოსავლით უზრუნველყოს, მაგრამ ასეთი არარეგულირებული სამუშაოები, როგორც წესი, დაბალ ანაზღაურებადია და ქალებს აყენებს ისეთ სიტუაციაში, რომელიც არც სარგებლის და არც წინსვლის საშუალებას არ იძლევა".[4]

საქართველოშიც ასეთივე სენსიტიური და მძიმე სიტუაციაა. არაფორმალური სამუშაოები საერთოდ არ არის რეგულირებული. რეალურად, ჯერჯერობით ეს სფერო ქალებისთვის უფრო მეტად ზიანის მომტანია, ვიდრე სარგებლისა. ფორმალურ სექტორში სამუშაოების არარსებობა პირველი გამომწვევი მიზეზია ქალებისათვის, რომ წავიდნენ არაფორმალურ სექტორში და იპოვონ სამუშაო დაბალი ხელფასით, ამასთან, ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი პირობების გარეშე.

„არაფორმალური სექტორის ოფიციალური აღიარების არარსებობას ორი ძირითადი ეფექტი აქვს: ადგილობრივ დონეზე, ის ათავისუფლებს ისეთ სამუშაო ადგილებს ჯანმრთელობისა და შრომის სტანდარტებისგან, სადაც შრომის პროცესი გლობალიზებულ სამყაროში შეიძლება მიმდინარეობდეს სახიფათო პირობებში…და გლო-

3 UN Women Policy Brief (Decent Work and Women's Economic Empowerment: Good Policy and Practice; Published 2012).

4 Book: "Outrage to Courage" Author – Anne Firth Murray (new and revised second edition).

ბალურ დონეზე, როგორც საშინაო (საოჯახო) სამუშაოს დაუნახაობა, ის ხელს უწყობს გლობალურ ეკონომიკაში ქალთა მარგინალიზაციას საერთაშორისო პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც უარყოფს ან უგულვებელყოფს ასეთ სამუშაოს და, შესაბამისად, ამ სამუშაოს შემსრულებელ ქალებს".[5]

როდესაც სამყარო ადამიანის ღირსების პრიმატს ხაზს უსვამს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ღირებულება ცოცხალ არსებას ჰგავს და დამოკიდებულია ადამიანის ცხოვრების პირობებზე.

„მუშაობის უფლება ხშირად ღირსების, პიროვნული განვითარების და სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის გადამწყვეტი ხელშემწყობი ფაქტორია".[6]

რადგან საქართველოში არაფორმალური სამუშაოების დიდი რაოდენობა არსებობს, პირველ რიგში, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ სტატისტიკური მონაცემები არაფორმალურ სექტორში მომუშავეთა ზუსტი ციფრის შესახებ, ხოლო ამ პროცესის პარალელურად უნდა მოხდეს ზემოაღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა სამუშაო პირობების მონიტორინგი. ამის შემდგომ, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს სამართლებრივ ჩარჩოზე, რომელიც დაარეგულირებს არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა სამუშაო პირობებს. ეს აქტი ნორმატიულ ხასიათს უნდა ატარებდეს და საქართველოს მოსახლეობისთვის შესასრულებლად სავალდებულო უნდა იყოს. ჩემი ხედვით, ეს დოკუმენტი უნდა გახდეს არაფორმალური სექტორის სამუშაო პირობების გზამკვლევი (სამუშაო საათების რაოდენობა, ღირსეული სამუშაო პირობები, ღირსეული ანაზღაურება, სამუშაოს სიძლიერე ხანდაზმული ადამიანებისთვის, დასაქმებულთა დასვენების და შესვენების დრო და სხვა ზოგადი ასპექტები).

მაგრამ ჩვენ თუ გვინდა არაფორმალურ თუ ფორმალურ სექტორში აღმოვფხვრათ დისკრიმინაცია, ჩვენ უნდა მოვძებნოთ მისი ფესვები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 24-ე მუხლში ქალებს აქვთ დასვენებისა და შესვენების უფლება და ამ უფლებებით სარგებლობისთვის მათ შექმნილი უნდა ჰქონდეთ შესაფერისი პირობები. ცხადია, ამ უფლებით ქალები და მამაკაცები თანაბრად ვერ ისარგებლებენ, თუ ქალებს ექნებათ საშინაო-საოჯახო (აუნაზღაურებადი) სამუშაოს არაპროპორციული წილი მამაკაცებთან შედარებით. თუ ყურადღებით დავაკვირდებით სტერეოტიპულ ვარაუდებსა და აღქმებს ოჯახის და ზრუნვისთვის აღებულ პასუხისმგებლობის შესახებ, ზუსტად ეს სტერეოტიპებია შრომის ბაზარზე ქალთა ჩართულობის შეზღუდვების და დისკრიმინაციის საფუძველი. შეზღუდვის სახეობები, როგორც გლობალურად ვხედავთ, განსხვავებულია:

- დასაქმებისას და სამუშაოს მოძიებისას შექმნილი ბარიერები
- ფორმალურ სექტორში სამუშაოებზე დაბალი ხელფასის არსებობა და არაფორმალური და დაუცველი სამუშაოს არსებობის უფრო მაღალი კოეფიციენტი
- წინსვლის ნაკლები შესაძლებლობები.[7]

შრომის საერთაშორისო სტანდარტები ოჯახის პასუხისმგებლობის საკითხში ასევე ეხება თანაბარ შესაძლებლობებსა და თანაბარ მოპყრობას ქალ დასაქმებულსა და მამაკაც დასაქმებულს შორის – შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის No156 კონვენცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი 165-ე რეკომენდაცია (ILO Convention No. 156 and corresponding ILO Recommendation No. 165).

როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (შემდგომ – INSTRAW) მე-10 მუხლშია ნახსენები, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს ჰქონდეთ იგივე წვდომა და შესაძლებლობები იგივე ხარისხის განათლებისა და ტრენინგის სფეროში, როგორც კაცებს.

აუნაზღაურებადი სამუშაო შეიძლება იყოს მძიმე, სტრესული, ემოციურად რთული და საშიში, მაგალითად: საყოფაცხოვრებო სამუშაო და ბავშვის მოვლა. თუ ქალებს მხარდაჭერის გარეშე დაუცველებს დავტოვებთ მძიმე აუნაზღაურებადი საშინაო სამუშაოს პასუხისმგებლობის პირისპირ, ქალთა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა შეიძლება გაუარესდეს და დეგრადირდეს, რაც საშიშია.

სახელმწიფოებმა უნდა იმუშაონ ტრადიციულად დამკვიდრებული გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების დაძლევასა და რბილ ტრანსფორმაციაზე. ამ პრობლემის მიზანი უნდა იყოს: პასუხისმგებლობების და აუნაზღაურებადი საშინაო სამუშაოს თანაბარი გადანაწილება ქალებსა და მამაკაცებს შორის.

„ფორმალურ ან არაფორმალურ შრომით სისტემაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა არ იყო მიჩნეული საზიანოდ ქალთა აუნაზღაურება-

5 Book: "Outrage to Courage"; Author – Anne Firth Murray (chapter: laboring in a globalized world pg. 196).

6 Committee on Economic, Social and Cultural Rights, general comment No. 18.

7 ILO and UNDP, Work and Family.

დი სამუშაოსთან მიმართებაში, რადგან ასეთი ანაზღაურების გარეშე სამუშაო, სამწუხაროდ, არასოდეს იყო აღიარებული და გაზომილი“.[8]

ფაქტია, რომ არაფორმალურ თუ ფორმალურ სექტორში მუშაობა პირდაპირპროპორციულ გავლენას ახდენს ქალების ანაზღაურების გარეშე (სახლის სამუშაოს) სამუშაო პირობების გაუარესებაზე და სტრესული გარემოს შექმნაზე, თუ საშინაო სამუშაო ქალსა და მამაკაცს შორის გონივრულად არ იქნება გადანაწილებული.

ჩვენ ვხედავთ, ახალგაზრდა ქალები რამდენი პრობლემის წინაშე დგანან და შიშით გვეფიქრება – რა შეიძლება მოხდეს ასაკის მატებასთან ერთად?

რა არის დაბერება? განვითარების ახალი ეტაპი? ქალის ახალი გამოწვევა? ცხოვრების ახალი ეტაპი?.. როგორ შეუძლიათ ასაკოვან ქალებს ახალი შესაძლებლობების პოვნა და როგორ შეუძლიათ ახალი შესაძლებლობების გამოყენება კრეატიული გზებით, როცა საზოგადოება მათ სტერეოტიპებით შტამპავს, როგორც ოჯახის ტვირთებს, როგორც მხოლოდ მზრუნველთა კატეგორიას და როგორც ქვეყნისთვის არაღირებულ აქტივს?

1. საზოგადოებამ და ქვეყანამ უნდა შეცვალოს ის კონცეფცია, დამახინჯებული აღქმა, ცრურწმენები (პრეჯუდისები) და გააცნობიეროს, რომ ასაკოვანი ქალები საზოგადოების პროდუქტიული წევრები არიან, რომ მათ ღირსეულად უნდა მოეპყრან და მისცენ რესურსები საკუთარი უფლებების სრულად განხორციელებისათვის.

„მითების და სტერეოტიპების გამოკვლევა, რომლებიც ასაკოვან ქალებს შეეხება, აჩვენებს, თუ როგორ მძაფრდება ყველგან ასაკთან ერთად გენდერული მიკერძოება და დისკრიმინაცია, თუმცა კულტურული ფორმები შეიძლება განსხვავდებოდეს. ალბათ, ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპია ქალების, როგორც ბუნებრივი მომვლელების რაკურსში მოაზრება, რაც ხელს უწყობს იმ რწმენის შენარჩუნებას, რომ „ტრადიციული ოჯახი“ იზრუნებს თავის მოხუცებზე. ამ სტერეოტიპს ბევრ ქვეყანაში ვხვდებით, განსაკუთრებით, ღარიბ ქვეყნებში. როგორც ამ წიგნის რამდენიმე ნაშრომი აღნიშნავს, ქალებზე, როგორც „ბუნებრივი“ ოჯახის მომვლელებზე შეხედულება არის მუდმივად კონსტრუირებული და განმტკიცებული სოციალური მოლოდინებითა და აკრძალვებით. იტალიაში ერთ-ერთი კვლევა შეისწავლის ფორმებს, რომლითაც ეს მოლოდინები (ცრურწმენები) გამოიხატება: ქალები, როგორც წესი, ბოდიშს გიხდიან, თუ ისინი არ ზრუნავენ ოჯახის დამატებით წევრზე, ხოლო, რადგან კაცების მიმართ არ არსებობს ოჯახის წევრებზე ზრუნვის მოლოდინი, როცა კაცები ზრუნვას გამოხატავენ – ეს უჩვეულოდ მიიჩნევა“.[9]

როგორც ვხედავთ, საზოგადოებაში ქალების როლი მინიმალიზებულია და დაყვანილია აღმზრდელებამდე (მომვლელებამდე). რატომ? ალბათ, მიზეზი ფესვებშია. საზოგადოება პატარა გოგოებს, თინეიჯერ გოგოებს და ქალებს უყურებს, როგორც რეპროდუქციულ ხაზს – სიცოცხლის კონტრიბუტორებს და არა ინდივიდუალებს, რომლებიც არიან დედები, დასაქმებულები, განმანათლებლები, მენტორები, მენეჯერები, პოლიტიკოსები და საზოგადოების აქტიური მონაწილეები. სტიგმები ხანდახან მეტი ზიანის და დამანგრეველი შედეგის მომტანია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. როცა საზოგადოება ქალებს აძლევს მხოლოდ ერთ როლს რეპროდუქციული პოტენციალის სახით, რაღაც პერიოდის შემდეგ ისინი გამოუსადეგარები ჩანან, არა იმიტომ, რომ საზოგადოებაა არაადამიანური ან საშინელი, არამედ იმიტომ, რომ ეს პრეჯუდისი მათ ჩამოყალიბებული აქვთ კოლექტიური არაცნობიერის საფუძველზე. ამ ტიპის ფორმირების შემდეგ საზოგადოება ქალებს დამატებით როლს ანიჭებს (როგორც დამატებით სარგებელს): მომვლელ-მზრუნველების სახით. როდესაც გვინდა დავუბრუნოთ ასაკოვან ადამიანებს მათი კუთვნილი და რეალური ადგილი საზოგადოებაში, პირველ რიგში უნდა შევცვალოთ ჩვენ კოლექტიურ არაცნობიერში გამჯდარი აღქმა და დამოკიდებულება (ატიტუდები).

„მდიდარ ქვეყნებშიც კი ასაკოვანი ქალების პროდუქტიული შენატანები ოფიციალურად იშვიათად აღიარებულია. ასაკოვანი ქალების მიმართ არსებული მრავალი აღქმა, როგორც არაპროდუქტიულის, გამომდინარეობს რწმენიდან, რომ ქალების პროდუქტიული როლი შემოიფარგლება მათი რეპროდუქციული შესაძლებლობებით. ითვლება, რომ ქალების ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქვთ უნარი გააჩინონ შვილები, განსაკუთრებით ვაჟები. მას შემდეგ, რაც ქალები გაივლიან რეპროდუქციული პოტენციალის ასაკს, ისინი განიხილებიან, როგორც უსარგებლონი. ივარაუდება,

8 Book: “Outrage to Courage”; Author – Anne Firth Murray (chapter: laboring in a globalized world pg. 197) .

9 United Nations International Research and Training Institute for the Advancement of Women (INSTRAW) "Ageing in Gendered World: Women's Issues and Identities" (Santo Domingo, Dominican Republic 1999).

რომ ისინი საზოგადოების ფუნქციონირებაში წვლილს აღარ შეიტანენ და აქედან გამომდინარე ტვირთი გახდებიან, დამოკიდებულნი მათი შვილების და, შესაძლოა, მათი ეროვნული მთავრობის მხარდაჭერაზე".[10]

2. ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია და ფინანსები გამიზნული უნდა იყოს ასაკოვნების კეთილდღეობაზე და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე. ამ თემის მთავარი საკითხია ქვეყანა ეკონომიკური განვითარების როგორ ეტაპზე იმყოფება: ქვეყანას ღარიბი ეკონომიკა აქვს თუ სტაბილური კარგად აშენებული ეკონომიკა? ამის შემდეგ ქვეყნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დაინერგოს ფინანსური მეთოდები და სისტემა, რომელიც გაზრდის ქალთა როლს ფულის მოპოვებაში და მათ აქტიურ სამუშაო ძალად ჩამოყალიბებაში.

როგორც აღნიშნულია INSTRAW პუბლიკაციაში „დაბერება გენდერულ სამყაროში: ქალთა საკითხები და იდენტობები": *„დაბერება, როგორც განვითარების ეტაპი, გამოწვევაა ქალებისათვის. ცხოვრების ამ პერიოდში ქალებს უნდა შეეძლოთ კრეატიული გზით გაუმკლავდნენ ახალ შესაძლებლობებს. ასაკოვან ქალებზე არსებული სტერეოტიპებით გამოწვეული სოციალური შედეგები აღიარებულ უნდა იქნეს და აღმოიფხვრას. დაბერების საკითხთან დაკავშირებით გამართულ მომდევნო შეხვედრებზე დაიწყო ხაზგასმა ასაკოვანი ადამიანების საზოგადოების ცხოვრებაში ინტეგრაციაზე; ასაკოვნების განხილვა არა როგორც ტვირთი საზოგადოების პროდუქტიულ წევრებზე, არამედ როგორც კრეატიული და პროდუქტიული წევრებისა თავიანთი უფლებით. ქალები, იმის გამო, რომ უფრო მეტხანს ცხოვრობენ, თითქმის ყველა ქვეყნის ხანდაზმული ადამიანების უმეტესობას წარმოადგენენ და განსაკუთრებით უგულვებელყოფილი რესურსი არიან ხანდაზმულობის პერიოდში."*

რა არის ის ასპექტები, რომელთა საფუძველზეც უნდა შეიქმნას ასაკოვანი ქალებისთვის ახალი სისტემა, მათი პოტენციური წვლილის ასამაღლებლად?

INSTRAW მიმართავს კონცეფციებს, რომლებმაც უსამართლობა გამოიწვია და შემდეგ ეძებს პოტენციურ წვლილს, რომელიც ყველა ქალს შეუძლია თავის საზოგადოებაში შეიტანოს. ასევე მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ თანამედროვე ტექნოლოგიის როლი ქალების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ჩემი მოსაზრებით, კარგი იქნება, თუ რეგიონებში, სოფლებში მთავრობა ორგანიზებას გაუწევს ქალებისთვის განკუთვნილ კომპიუტერის და ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე უფასო პროგრამებს. ქვეყანას, მთავრობას და კერძო ბიზნეს სექტორს აქვთ შესაძლებლობა გაზარდონ ქალთა მნიშვნელოვანი როლის აღიარება და აგრძნობინონ ქალებს, რომ ისინი საკუთარი ბედის შემქმნელები არიან. ერთ-ერთი გზა იმისათვის, რომ ქალებს მისცენ კონტროლი საკუთარ ბედზე, ეს არის მათთვის ეკონომიკური აქტივობების შანსის მიცემა. ეს მოიცავს ქალთა მიკროსაფინანსო სესხებს. სპეციალური სესხის ტიპის საფუძველი შეიძლება იყოს: სამეურნეო (cottage industries) ინდუსტრიები, მიწათმოქმედება, სამზარეულო, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მთავრობამ უნდა შეაფასოს სამუშაოები, რომლებიც ასაკოვან ქალებს ზიანს არ მიაყენებენ, გარდაქმნას ასაკოვანი ქალების როლი საზოგადოებაში, შეამციროს დისკრიმინაცია და საბოლოო ჯამში, აღმოფხვრას ის. ერთი შეხედვით, მკითხველს შესაძლოა გაუჩნდეს შეგრძნება, რამდენად შეიძლება ეს მცირე ინვესტიცია არსებითი იყოს ქალის სტატუსის შეცვლისათვის? ჩემი პასუხია დიახ! დიახ... ყველაფერი იწყება ნებისგან.

მწვავე რეალობაა ის, რომ სოციალური გარიყულობა, სიღარიბე, დისკრიმინაციული დამოკიდებულება, ცრურწმენები და აღქმა ქალის როლთან მიმართებაში, ძირითადად უფრო გამძაფრებულია ასაკოვანი ქალებისთვის, ვიდრე ასაკოვანი მამაკაცებისთვის. აშკარაა, რომ ქალთა არახელსაყრელი სტატუსი ბავშვობიდან და მოზრდილობიდან იღებს სათავეს და უფრო და უფრო ინტენსიური ხდება ასაკში.

ერთი შეხედვით, სიცოცხლის ხანგრძლივობა უეჭველად წინსვლის ნიშანია, რაც კეთილდღეობის ზრდისა და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის შედეგია, მთელ მსოფლიოში შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლის თანახმად. როდესაც ამ სურათს ერთი კუთხიდან შეხედავთ, მაცდურია და შეიძლება იფიქროთ, რომ სიღარიბეში მყოფი ქალების პრობლემა თანდათანობით და თანმიმდევრულად ქრება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მცდარი შთაბეჭდილებაა. როცა უფრო და უფრო მიუახლოვდებით ამ მოზაიკას, დაინახავთ ასაკოვანი ქალების მიმართ არსებულ უამრავ პრობლემას და ამასთან ერთად, ამ პრობლემების მზარდ რიცხვს, ეკონომიკის გაუმჯობესების არარსებობის და მსოფლიოში არსებული შეუცვლელი ხედვების ფონზე. სტერეოტიპები კი დამანგრეველ გავლენას ახდენენ ასაკოვან ქალებზე და ასევე, მთელ მსოფლიოზე.

10 Book "From Outrage to Courage" Chapter: "Aging in Men's world"; Author – Anne Firth Murray (new and revised second edition).

საქართველოს ერთი კარგი გამოწვევა აქვს – ასაკოვანი ქალები დასაქმებულნი არიან საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც მეცნიერები, როგორც მასწავლებლები, როგორც ლექტორები, მაგრამ ეს მცირე პროცენტია.

ჩვენ გვჭირდება სამართლის ნორმების, ნორმატიული აქტების და სახელმწიფოს დასახული მიზნების ინტეგრირება საზოგადოებაში. ჩვენ ამ საკითხზეც უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება. რეალური თანასწორობის მიღებით ქალებსა და მამაკაცებს შორის უნდა შევძლოთ ცვლილების განხორციელება მამაკაცების უფლებების შეზღუდვის (დაკნინების) გარეშე. მამაკაცები საზოგადოებაში იქნებიან როგორც ჯენტლმენები, ახალი ხედვით და ღირსეული ფასეულობებით.

ვფიქრობ, ეს საკითხები მეტ ჩაღრმავებას, გაშლას და ამ ბირთვის გარშემო მიზნების დასახვა/შესრულების ალტერნატივების წარმოდგენას საჭიროებს. ამიტომაც გადავწყვიტე, დანარჩენი მსჯელობა ჩემს სადისერტაციო ნაშრომში განვავითარო.

იდეალისტი ადამიანები ქმნიან რეალურ საზოგადოებას, რომელიც სიყვარულის და მშვიდობის კონცეფციაზე არის დაშენებული.